

პოლონეთ-საქართველოს კულტურულ-ისტორიული ურთიერთობები 1921-1939 წლებში

საქართველომ მეოცე საუკუნეში მეორედ მოიპოვა დამოუკიდებლობა. პირველი ძალიან მოკლე და რთული იყო, მაგრამ ნაყოფიერი თავისი მნიშვნელოვანი მიღწევებით. საქართველოს დამოუკიდებლობა მხოლოდ სამი წელი გრძელდებოდა და ჩრდილოელი მეზობლის ძლიერი სამხედრო არმიის შემოჭრის შედეგად დაინგრა, მიუხედავად იმისა, რომ 1920 წლის მაისის ხელშეკრულების ხელმოწერიდან რამდენიმე თვის შემდეგ საბჭოთა რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობას აღიარებდა და ვალდებულებას იღებდა, არ ჩარეულიყო მეზობელი ქვეყნის საშინაო საქმეებში. ეს მეორე დამოუკიდებლობა მხოლოდ ახლა იბადება, ხოლო ის სირთულეები და პრობლემები, რომლებიც თან ახლავს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცებას, არ არის ნაკლები, ვიდრე იყო ოთხმოცდაცხრამეტი წლის წინათ.

1801 წელს, ადრე დადებული ხელშეკრულების მიუხედავად, რუსეთმა შეიერთა XVIII საუკუნეში გაერთიანებული აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ქართლ-კახეთი, ხოლო მოგვიანებით საქართველოს დანარჩენი სამეფო-სამთავროები. 1811 წელს გაუქმდა საუკუნეების განმავლობაში არსებული საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა. საქართველოს ეკლესიას რუსული მართლმადიდებლური წმინდა სინოდის მიერ გამოგზავნილი რუსი ეგზარქოსი მართავდა. ავტოკეფალიის ჩამორთმევასთან ერთად ქართულ ლიტურგიაში რუსული ენა შემოიჭრა. რუსულმა მმართველობამ საქართველოში მალე გამოიწვია მოსახლეობის უკმაყოფილება და XIX საუკუნის პირველმა ათწლეულმა გამუდმებული ანტირუსული აჯანყებებითა და შეთქმულებით ჩაიარა ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში. მიუხედავად ხელისუფლების რუსიფიკატორული პოლიტიკისა, სხვადასხვა ფორმით ეროვნული

ჩაგვრისა და სხვა უარყოფითი შედეგებისა, ვითარდებოდა ქართული კულტურა – ლიტერატურა, თეატრი, ხელოვნება, საგანმანათლებლო მოძრაობა. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან განსაკუთრებით გაძლიერდა ეროვნული კონსოლიდაცია. XX საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვანად აღდგა საქართველოს კულტურული ცხოვრება და გაიზარდა ეროვნული ცნობიერება. 1917 წლის რუსეთის რევოლუციის შემდეგ საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, ჯერ ამიერკავკასიის რესპუბლიკის ფარგლებში, ხოლო 1918-1921 წლებში, როგორც საქართველოს დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, რომელიც ნახევარი წლის წინ დამფუძნებელმა კრებამ აირჩია თბილისში, „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ გამოაცხადა. მასში აღნიშნული იყო, რომ „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.“ საქართველოს მთავრობამ ქვეყანაში ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა. გაუქმდა სახელმწიფო პრივილეგიები, განხორციელდა აგრალური და თვითმართველობის რეფორმები ადგილობრივ ადმინისტრაციებში. შეიქმნა საყოველთაო განათლების სისტემა. პირველად საქართველოში დაარსდა უნივერსიტეტი და უმაღლესი სკოლები, შეიქმნა ეროვნული ქართული არმია, ხოლო საქართველოს ეკლესიამ 1917 წლის აღადგინა ავტოკეფალია, განთავისუფლდა რუსული სინოდისგან და პირველად ასი წლის განმავლობაში აირჩია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი – კირიონ II.

საქართველოს დამოუკიდებლობა „დე ფაქტოდ“ და „დე იურედ“ სცნო მაშინდელი მსოფლიოს სახელმწიფოების უმრავლესობამ, მათ შორის ინგლისმა, საფრანგეთმა, გერმანიამ, იაპონიამ, თურქეთმა, ასევე საბჭოთა რუსეთმა. მისი დამოუკიდებლობა სცნო აგრეთვე პოლონეთმაც და დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების მიზნით ჯერ კიდევ 1918 წლის შემოდგომაზე თბილისში პოლონეთის რესპუბლიკის წარმომადგენლობა გახსნა. 1919 წელს თბილისში დაარსდა პოლონეთ-საქართველოს სამრეწველო-სავაჭრო კავშირი. 1921 წლის 29 იანვარს პოლონეთის მთავრობამ „დე იურედ“ სცნო საქართველოს რესპუბლიკა. სამწუხაროდ, მალევე საქართველოში შემოიჭრა საბჭოთა რუსეთის ჯარი და ერთთვიანი თავდაცვითი ბრძოლების შემდეგ საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა, დაეტოვებინა ქვეყანა და ემიგრაციაში წასულიყო. ქართული ემიგრაციის გარკვეულმა ნაწილმა, მათ შორის სამხედრო ოფიცრებმა და იუნკრებმა, თავიანთ ადგილსამყოფელად პოლონეთი აირჩიეს, რომელიც მათთვის მეორე სამშობლოდ გადაიქცა. ქართველი ოფიცრობა პოლონეთში მსახურობდა

კონტრაქტის საფუძველზე, ბევრმა მათგანმა ხელი მიჰყო მეწარმეობას, საექიმო პრაქტიკას, ვაჭრობას, სწავლობდნენ და ასწავლიდნენ უმაღლეს სასწავლებლებში. ბევრმა მათგანმა მჭიდროდ დაუკავშირა თავისი ბედი პოლონეთს. ამავე დროს არც ერთ ქართველ ემიგრანტს არ დავიწყებია თავისი დაკარგული სამშობლო და ეწეოდა დიდ პოლიტიკურსა თუ კულტურულ მოღვაწეობას საქართველოს განთავისუფლებისთვის. ამ სახის მუშაობა იყო გაჩაღებული ქართულ თუ პოლონურ-ქართულ ორგანიზაციებსა და საზოგადოებებში, ისეთებში, როგორებიც იყო ქართველთა კომიტეტი პოლონეთში, ქართულ-პოლონური კლუბი, ქართველ სტუდენტთა კავშირი პოლონეთში. ქართველთა ამგვარი მუშაობა მხარდაჭერასა და დახმარებას პოულობდა როგორც პოლონეთის პოლიტიკურ ასევე კულტურულ წრეებში და თადეუმ ჰოლუვკოს, სტეფან ჟერომსკის, ვაცლავ შეროშევსკის და სხვების ფართო კულტურულ საზოგადოებაში. საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი ფართო მსჯელობის საგანი იყო იმდროინდელ პოლონეთში, მასზე ბევრს საუბრობდნენ და წერდნენ. საქართველოს შესახებ გამოიცა მრავალი ნაშრომი, რომელსაც სამეცნიერო-პოპულარული და ინფორმაციული ხასიათი ჰქონდა. გამოდიოდა ისეთი ჟურნალები, როგორიც იყო „ამირანი“, „პრო პატრია“, „პრო გეორგია“. ქართულ თემატიკას ეკავა უმთავრესი ადგილი სერგო ყურულიშვილის რედაქტორობით გამომავალ ჟურნალში „აღმოსავლეთის ხმა“. ჟურნალები „აღმოსავლეთი“, „ფშიმერჟე“ და სხვა დიდ ყურადღებას უთმობდნენ საქართველოს განთავისუფლების საკითხს. საქართველოში მიმდინარე მოვლენებს ეხმაურებოდა ყველაზე დიდი პოლონური გაზეთები, რომელიც გამოდიოდა ოციან წლებში. გარდა ამისა, ტარდებოდა პოლიტიკური ღონისძიებებიც.

პოლონეთის მთავრობა დიდხანს იკავებდა თავს სსრკ-ს ცნობისგან მის მიერ ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობის გამო. რიგის ტრაქტატის გადაწყვეტილების დარღვევამ იოზეფ პილსუდსკის აღმოსავლური პოლიტიკის ფედერალისტურ კონცეფციას პრაქტიკული მნიშვნელობა დაუკარგა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იოზეფ პილსუდსკის თანამოაზრეები საქართველოს მიიჩნევდნენ მნიშვნელოვან როლად აღმოსავლეთის პოლიტიკაში. 1923 წლის მაისში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წლისთავთან დაკავშირებით სტეფან ჟერომსკი საუბრობდა ორი ერის მსგავსებისა და მეგობრობის შესახებ. იგი წერდა: „საქართველოს თავისუფლება ყოველი თავისუფალი ერისათვის უმთავრეს მოწოდებად უნდა იქცეს“.

საქართველო-პოლონეთის ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ხუთას ოცდაერთი წლის წინათ, 1495 წელს, ლიტვის

დიდი მთავრის, მოგვიანებით პოლონეთის მეფის, ალექსანდრეს, კარზე წარგზავნილი იყო ქართლის მეფის, კონსტანტინეს, ელჩი ბერი კორნელი, რომელიც ესპანეთისა და ევროპის სხვა ქვეყნებში მიემართებოდა, ელჩობა მიზნად ისახავდა ანტითურქული კოალიციის შექმნას. ვარაუდობენ, რომ ბერი კორნელი სტუმრობდა აგრეთვე კრაკოვსაც, თუმცა ამის შესახებ ისტორიული წყაროები არაფერს გვამცნობენ. უფრო მეტი ცნობები მოგვეპოვება XVII საუკუნისა და XVIII საუკუნის დასაწყისის პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ, როცა საქართველომ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა რეჩპოსპოლიტას აღმოსავლეთ პოლიტიკაში. იმ დროს პოლონეთიდან საქართველოში მოგზაურობდნენ ვაჭრები, დიპლომატები, კათოლიკე-მისიონერები. პოლონეთში დამკვიდრებული ქართველები ეწეოდნენ დიპლომატიურ და სამხედრო სამსახურს. XIX საუკუნეში პოლონეთმა და საქართველომ დაკარგეს თავიანთი სახელმწიფოებრიობა და მათზე მეფის რუსეთი გაბატონდა. ამ ორ ერს ისიც აახლოებდა, რომ ჰქონდა საერთო მიზანი – გათავისუფლებულიყვნენ დამპყრობლისაგან. ასევე, ორივე მათგანმა ერთგვარად იწვინა გადასახლების სიმწარე. სტეფან ჟერომსკი წერდა: „ისტორიულ წყაროებში, რომლებიც აღწერენ 1863 წლის აჯანყების მონაწილე პოლონელთა ყოფას ციმბირში, ნაჩვენებია, თუ როგორ დგას ყოველთვის კატორღელი პოლონელის გვერდით ქართველი, რომელიც იზიარებს აჯანყებული პოლონელის მწარე ხვედრს [...] ასეთ პირობებში აღმოცენებული მეგობრობა უაღრესად მტკიცეა და ყველაფერზე მაღლა დგას.“ მაგრამ XIX საუკუნეში ქართველები და პოლონელები მხოლოდ ციმბირის გადასახლებაში როდი ხვდებოდნენ ერთმანეთს. მეამბოხე პოლონელებს მეფის მთავრობა კავკასიაში ასახლებდა, სადაც ვალდებული იყვნენ, ემსახურათ რუსეთის ჯარში. საქართველოში თავის სამხედრო ვალდებულებას იხდიდა როგორც მეფის ჯარში მოსამსახურე პოლონელი ოფიცრობა, ასევე მრავალი რიგითი პოლონელი ჯარისკაცი. ამავდროულად ქართველებიც მსახურობდნენ რუსეთის ჯარში პოლონეთის ტერიტორიაზე, სწავლობდნენ ვარშავაში და ეწეოდნენ იქ სავაჭრო საქმიანობას.

1918-1939 წლები წინა პერიოდისგან განსხვავებული და გადამწყვეტი მოვლენებით აღსავსე იყო ორი ერის ურთიერთობაში. 1918 წელს, თითქმის ასწლოვანი მონობის შემდეგ, ორივე ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა. ახლად მოპოვებული დამოუკიდებლობა საქართველომ ისევ დაკარგა და 1921 წელმა, როდესაც საბჭოთა ჯარები შეიჭრნენ თბილისში, პოლონელებს მრავალი წლის განმავლობაში გადაუკეტა გზა კავკასიაში. საქართველოდან დაიძრა ემიგრანტების

დიდი ტალღა, რომელმაც პოლონეთშიც შეაღწია. ტრადიციული მეგობრული გრძნობები, რომელიც პოლონურ საზოგადოებაში შორეული საქართველოსადმი არსებობდა, მხარდაჭერას მარშალ იოზეფ პილსუდსკის აღმოსავლური პოლიტიკის ფედერალისტურ კონცეფციაში პოულობდა. მართალია, რიგის ტრაქტატის შემდეგ მან პრაქტიკული მნიშვნელობა დაკარგა, მაგრამ არ გამქრალა იდეოლოგიურ სფეროში, რომლის გაგრძელებასაც „პრომეთეს“ მოძრაობა წარმოადგენდა. მისი მიზანი იყო სსრკ-ს შემადგენლობაში მყოფი ერების მხარდაჭერა, რომლებმაც I მსოფლიო ომის პერიოდში წამოიწყეს საკუთარი სახელმწიფოს შექმნის მცდელობა. მათ რიგებში შედიოდნენ უკრაინელები, სომხები, აზერბაიჯანელები, თათრები, კავკასიის მთიელები და ქართველები. ასე რომ, „პრომეთეიზმს“ უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ამავე დროს ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს ემიგრანტების ფართო კულტურული და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის. მათ შორის ქართველებისა და მათ მხარში მდგომი პოლონელებისათვის. ჯერ კიდევ 1919 წლის შემოდგომაზე არსებობდა კულტურული და ეკონომიკური სამოქმედო პროგრამა ქართულ-პოლონურ კლუბში. ჟურნალ „კავშირის“ ფურცლებზე საქართველოს საკითხებს მხარს უჭერდა 1921 წლის იანვარში დაარსებული „განახლებული ერების საზოგადოება“, რომელსაც თავმჯდომარეობდა ლუდვიკ ქშივიცკი. კავშირის მიზანი იყო „კულტურული და ეკონომიკური კავშირების გაღრმავება ბალტიისა და პონტოს ქვეყნებსა და ხალხებს შორის“. ოციანი წლების დასაწყისში, როდესაც დაეცა საქართველოს რესპუბლიკა, პოლონეთში დაარსდა ქართული კომიტეტი. 1922 წლიდან ომამდელ პოლონეთში ქართული ემიგრაციის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება ქართული კომიტეტის გარშემო იყრიდა თავს, სადაც მიმდინარეობდა საგამომცემლო საქმიანობა, რომელიც პოლონეთის საზოგადოებას აცნობდა საქართველოს ისტორიას, აახლოებდა მის კულტურასთან და ეწეოდა საქართველოს განთავისუფლებისაკენ მიმართულ დიდ პოლიტიკურ თუ კულტურულ მოღვაწეობას.

1921 წელს საქართველოს კომიტეტის თავმჯდომარემ სერგო ყურულიშვილმა (1894-1925) ვარშავაში თხოვნით მიმართა გენერალ კაზიმერ სოსნკოვსკის, რომ ქართველები პოლონეთის სამხედრო სასწავლებლებში მიეღოთ. იმავე წლის აგვისტოში კონსტანტინე გვარჯალაძემ, რომელიც საქართველოს წარმომადგენელი იყო კონსტანტინოპოლში, მსგავსი წინადადებით მიმართა თურქეთში პოლონეთის მთავრობის წარმომადგენელს ვადისლავ ბარანოვსკის. პოლონეთის მთავრობის წარმომადგენელი, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდა,

შეუდგა ინფორმაციის შეგროვებას თბილისის სამხედრო სკოლისა და მისი აღმზრდელების შესახებ. ამიერკავკასიიდან მობრუნებული პოლონელები საუკეთესოდ ახასიათებდნენ ქართველი იუნკრებსა და ოფიცრებს, განსაკუთრებით კი სკოლის კომენდანტს გიორგი კვინიტაძეს (1874-1970), რომელმაც რუსეთის არმიის სამსახურში ყოფნის დროს მრავალი წელი დაჰყო ვარშავაში და იქ პოლონოფილის სახელი მოიხვეჭა. ქართველებმა პოლონეთის სამხედრო წარმომადგენლის, პოლკოვნიკ ლეონ ბობიცკის მხარდაჭერაც მოიპოვეს. ვარშავაში გაგზავნილ ტელეგრამებში ისინი წერდნენ კონსტანტინე გვარჯალაძის წინადადებების შესახებ და აღნიშნავდნენ, რითი იქნებოდა მომგებიანი, თუ პოლონეთი მათ სამხედრო სამსახურში მიიღებდა. ვლადისლავ ბარანოვსკის აზრით, ყველანაირი დახმარება, რომელსაც ვარშავა გაუწევდა ქართულ ემიგრაციას, ხელს შეუწყობდა პოლონეთის გავლენის ზრდას კავკასიაში. ხოლო პოლკოვნიკი ლეონ ბობიცკი ყურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ პოლონეთის სამხედრო სასწავლებლებში გაწვრთნილი ქართველი სამხედროები მომავალში შეამცირებდნენ რუსეთის სკოლების კურსდამთავრებულთა გავლენას ქართულ სამხედრო სასწავლებლებში და ამით რუსული არმიის გავლენაც შემცირდებოდა. კონსტანტინოპოლიდან 1921 წელს გამოგზავნილი ასეთი სახის რეკომენდაციები მიიღეს ვარშავაში საგარეო საქმეთა და სამხედრო საქმეთა სამინისტროებმა. რასაკვირველია, გადაწყვეტილებას მინისტრების დონეზე იღებდნენ. რა თქმა უნდა, გადაწყვეტილებანი ამ საქმეზე მიიღებოდა უმაღლეს დონეზე და გადაწყვეტი ხმა სახელმწიფოს მეთაურს იოზეფ პილსუდსკის ეკუთვნოდა, რამდენადაც ქართული ემიგრაციისთვის დახმარებაზე თანხმობა კარგად თავსდებოდა იოზეფ პილსუდსკის აღმოსავლური პოლიტიკის კონცეფციაში. მისი გადაწყვეტილება მხოლოდ ერთი შეიძლებოდა ყოფილიყო – ქართველების წინადადების დადებითად გადაწყვეტა.

საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ვარშავაში. 1921 წელს გენერალური შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ვლადისლავ შიკორსკიმ თანხმობა განაცხადა ქართველი იუნკრების ვარშავის ფეხოსანთა სასწავლებელში მიღებაზე. გადაწყვეტილების მიღებისას, გარდა პოლიტიკური და სამხედრო გარემოებისა, გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ 1917-1918 წლებში საქართველოს მთავრობამ ხელი შეუწყო კავკასიაში პოლონური ჯარის შექმნას, რომელსაც საქართველოს მთავრობა და საზოგადოება მხარს უჭერდა, მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთში დამოუკიდებელი მთავრობა არ არსებობდა. როგორც ტიტუს ფილიპოვიჩი ამტკიცებდა, დანაყოფების შესაქმნელად 1920 წელს გაცემული თანხა რამდენიმე მილიონ ფრანკს

აჭარბებდა. „უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობას არასოდეს წარუდგენია ანგარიში პოლონეთისთვის, ეს იმიტომ, რომ ამ ორ ქვეყანას მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდა. ასე რომ, საქართველოსთვის დახმარების გაწევა ასეთ რთულ ემიგრაციულ ვითარებაში, პოლონეთის მხრიდან მადლიერების გამოხატვა და ასევე აღებული ვალის გადახდა იყო“. ქართველები მსახურობდნენ კავალერიის, არტილერიის, საჯავშნო ბატალიონის, კავშირგაბმულობის, საჰაერო და საზღვაო გარნიზონებში. მსახურობდნენ სასამართლოში, ინტენდენტურაში, ასწავლიდნენ სამხედრო სასწავლებლებში. ვარშავის ფეხოსანთა სასწავლებლის კურსდამთავრებულები სწავლას აგრძელებდნენ სხვადასხვა სახის ოფიცერთა სასწავლებლებში.

კურსდამთავრებულთა უმრავლესობამ სწავლა გააგრძელა იმ უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში, რომელიც ვარშავაში მდებარეობდა. მათ ასწავლიდნენ კაპიტანი იან ჟეპეცკი, მაიორი მარიან პორვიტი, რომელიც იყო ერთ-ერთი საუკეთესო გენერალური შტაბის თანამშრომელი, სამხედრო სასწავლებლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. უმაღლესი სამხედრო სასწავლებლები, სადაც ქართველები სწავლას გრძელებდნენ, იყო არტილერიისა და კავალერიის ოფიცრების მომზადების ცენტრი. გრუჯონძეში ცენტრალურ ცხენოსანთა სკოლაში განათლებას იღებდნენ მომავალი ცხენოსანთა სკოლის ოფიცრები, რომლებიც იუნკერთა საცხენოსნო შვადრონის სახელს ატარებდნენ. გრუჯონძეში სწავლის დროს ქართველები დიდი პატივით სარგებლობდნენ, როგორც ჩინებული მხედრები და მახვილოსნები. ქართველები სწავლობდნენ ტორუნის სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში. თავიდანვე პოლონეთის მხარეს საერთოდ არ ჰქონდა მხედველობაში მათი პოლონეთის არმიის რიგებში მიღება და ამ ყველაფერს უყურებდნენ, როგორც ერთჯერად დახმარებას. უფრო მეტიც, არ არსებობდა სამართლებრივი დებულება, რომლის საფუძველზეც უცხოელს შეეძლო სამხედრო სამსახურის გავლა. საჭირო გახდა მანამდე არსებული პოლონეთის მთავრობის მიერ მიღებული დებულების შეცვლა. ყველა საკთხი, რომელიც ქართველთა სამხედრო თანამშრომლობას ეხებოდა, სამხედრო სამინისტროს პრეროგატივაში შედიოდა. საგარეო საქმეთა სამინისტრო ინფორმირებული იყო მხოლოდ იმის თაობაზე, რომ მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ქართველების პოლონეთში მოწვევის შესახებ, სამხედრო მეთაურების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შემდეგ კი საბოლოო სიტყვა მარშალ იოზეფ პილსუდსკის ეკუთვნოდა. პოლონეთის არმიაში ქართველი ოფიცრების საკონტრაქტო სამსახურში მიღების ბრძანებას ხელი მოაწერა სამხედრო საქმეთა მინისტრმა გენერალმა კაზი-

მერ სოსნკოვსკიმ. 1922 წელს სპეციალურად მოიწვიეს სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს II (საინფორმაციო), III (საოპერაციო), V (პერსონალური), გენერალური შტაბის, აგრეთვე VII დეპარტამენტის (ინტენდენტურის) და გენერალური კონტროლის განყოფილების მეთაურებმა. მათ მიერ შემუშავდა პოლონეთში ქართველი ოფიცრების მომზადების დეტალური პროგრამა. მეორე გენერალური შტაბის განყოფილებაში კი ფინანსური საკითხები განიხილეს. თანხები გამოიყო სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტიდან, რაზეც მაშინდელმა ცენტრალური კომისიის პოლკოვნიკმა გურეცკიმ განაცხადა თანხმობა. მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე პოლონეთში მყოფი ქართველი ოფიცრების ხელფასი გაუთანაბრდა პოლონეთის არმიის ოფიცრების თვიურ ანაზღაურებას. ამავე დროს ოფიცრის ხარისხი საქართველოს მთავრობას უნდა დაედასტურებინა. ყველაზე მაღალი რანგის ქართველი ოფიცრების ანაზღაურება, რომელთაც მიღებული ჰქონდათ დამოუკიდებელი ბრიგადის მეთაურის ან დივიზიის გენერლის წოდება, პოლონეთის არმიის დივიზიის გენერლების ანაზღაურებას გაუტოლდა. კონსტანტინოპოლში ქართველებმა დაიწყეს საორგანიზაციო მუშაობა, რომელიც ენებოდა ოფიცრების ტრანსპორტირებას პოლონეთში. კანდიდატების სია პოლონეთში თანხმობის მისაღებად გაიგზავნა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ოფიცრების გადამზადებას, მათი პოლონეთში ყოფნის რეგულირებას და საქმიანობის აღწერას მეორე გენერალური შტაბი უხელმძღვანელებდა. ოცდაათიანი წლების დასაწყისში ვარშავა, პარიზთან ერთად, გახდა მნიშვნელოვანი ცენტრი ქართველი, აზერბაიჯანელი და ჩრდილოკავკასიელი ემიგრანტებისთვის. მოლაპარაკებები მიმდინარეობდა კავკასიის კონფედერაციის პაქტის ხელმოწერის თაობაზე. ამ საკითხზე მუშაობამ რამდენიმე ეტაპი გაიარა, რომელთაგან ყველაზე აქტიური 1932 წლის ნოემბრით თარიღდება. ამ პერიოდში კავკასიის სამი ერის წარმომადგენელი ვარშავის კონფერენციაზე მოლაპარაკებებს აწარმოებდა კავკასიის კონფედერაციის პაქტის ხელმოსაწერად. ვარშავის აღმოსავლეთის ინსტიტუტი, რომელიც 1926 წელს დაარსდა, წარმოადგენდა კულტურულ, სამეცნიერო და პოლიტიკურ ცენტრს. აღმოსავლეთის ინსტიტუტის მიზანი იყო აღმოსავლეთის ისტორიის პოპულარიზება. აგრეთვე „პრომეთეს“ მოძრაობისთვის ინტელექტუალური კადრების მომზადება. 1933 წელს ინსტიტუტთან დაარსდა ახალგაზრდა ორიენტალისტთა წრე, მის ფარგლებში კი შეიქმნა კავკასიის სექცია. ორიენტალისტთა წრე დაფინანსებული იყო პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და პოლონეთის არმიის სამხედრო შტაბის მიერ, რაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებდა, თუ რა იმედებს ამყარებდა პოლო-

ნეთის მთავრობა ახალგაზრდების აქტიურობაზე. ინსტიტუტის მიერ გაცემული სტიპენდიებით პოლონეთსა და საზღვარგარეთ სასწავლებლად ბევრმა ქართველმა, აზერბაიჯანელმა და ჩრდილოკავკასიელმა სტუდენტმა ისარგებლა (ნიკოლოზ ამილახვარი, ნიკო ბაგრატიონი, ტიტე ბერიშვილი, გიორგი გვაზავა, გიორგი ინჯია, გრიგოლ ქერცელი, არჩილ ქორაკიძე, ნიკო კუპრაშვილი, ელენე მდივანი, ბაგრატი მთვარელიძე, აკაკი რამიშვილი, არუსია სულხანიშვილი, თეიმურაზ თაქთაქიშვილი, ნათელა ჟორდანიას, რომელიც პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას ქალიშვილი იყო). ორიენტალისტთა წრე გამოსცემდა ჟურნალ „ვსხუდ-ორიენტს“; რომელსაც უფრო პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა, ვიდრე სამეცნიერო. ქართველი საკონტრაქტო ოფიცრები იდგნენ მარშალ იოზეფ პილსუდსკის ცხედართან, რომელიც გადასვენებული იყო ვარშავის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის კათედრალურ ტაძარში 1935 წლის 17 მაისს. ქართული ემიგრაცია პირველი შეუერთდა კრაკოვში განსვენებული იოზეფ პილსუდსკის სახელობის გორაკის მიწის მოყრას. რამდენიმე ათეული საკონტრაქტო ოფიცერი იღებდა მონაწილეობას 1939 წლის სექტემბრის ბრძოლებში. ვარშავის ჩრდილოეთ ნაწილის თავდაცვის მეთაური იყო პოლპოლკოვნიკი ვალერიან თევზაძე. ვარშავის ოხოტის ნაწილს იცავდა მეთაური არტემი არონიშიძე. ვარშავის 28-ე დივიზიის მეთაური იყო პოლკოვნიკი ალექსანდრე ვაჩნაძე. საქვეითო მე-6 დივიზიის მეთაური, კრაკოვის დაცვის უფროსი იყო პოლკოვნიკი რომან გველესიანი. კაპიტანი ვიქტორ ლომიძე კაპიტნის მოადგილე, შემდეგ კი ხომალდ „გრიფის“ კაპიტანი. მეორე მსოფლიო ომის დაწყებას გიორგი თუმანიშვილი ხომალდ „ბურჟაზე“ სამხედრო მანევრების დროს შეესწრო. 1939 წლის 17 სექტემბერს, როდესაც საბჭოთა ჯარები შემოიჭრნენ აღმოსავლეთ პოლონეთში, ჯარებთან ერთად იყო ნკვდ-ს სპეციალური დანაყოფი, რომელიც განსაკუთრებულად ეძებდა პოლონეთის არმიის ქართველ საკონტრაქტო ოფიცრებს. არაფერი ვიცით მათ ტრაგიკულ ბედზე. ზოგადად მათ ელოდათ ძალიან სწრაფი სიკვდილი, უკეთეს შემთხვევაში რამდენიმე ათეულწლიანი ტყვეობა საბჭოთა ბანაკებში. კოჟელსკის ნკვდ-ს ბანაკის ტყვეები იყვნენ პოლკოვნიკი ალექსანდრე ტაბიძე, მაიორი გიორგი მამალაძე, მაიორი ალექსანდრე ყიფიანი, კაპიტანი-მფრინავი არკადი სხირტლაძე. სტარობელსკის ბანაკში მოხვდნენ: კაპიტანი მიხეილ-ბასილი რუსიაშვილი, ბრონისლავ ტაბიძე (ალექსანდრე ტაბიძის შვილი). 1940 წლის თებერვალში კოჟელსკის ბანაკიდან საბჭოთა კავშირის უშიშროების ციხეში სასიკვდილო განაჩენით გადაიყვანეს სამხედრო ტყვეები: პოლკოვნიკი ტაბიძე, მაიორი ყიფიანი და კაპიტანი რუსიაშვილი. დანარჩენი ტყვეები დახვრიტეს ცენტრალური კომი-

ტეტის პოლიტიკური ბიუროს გადაწყვეტილებით 1940 წლის 5 მარტს კატინის ტყეში. 1940 წლის თებერვალში ნკვდ-ს მიერ დაპატიმრებულ იქნა ლვოვში გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე, რომელიც იმავე წლის დეკემბერში გადაიყვანეს მოსკოვში, სადაც დახვრიტეს 1941 წლის დასაწყისში. საკონტრატო ოფიცრების კვალობაზე ნკვდ ძალიან კარგად იყო ინფორმირებული, როგორც ამას ბოლო დროს აღმოჩენილი საარქივო მასალები გვიჩვენებენ. აგენტები და ნკვდ-ს თანამშრომლები ყურადღებით აკვირდებოდნენ ქართული ემიგრაციის ცხოვრებას ომამდელ პოლონეთში. ამ დაკვირვების შედეგად უკვე ზემოთ ნახსენებ „პრომეთეს“ კლუბში შედგენილი ჰქონდათ სპეციალური სია. ამ სიის საფუძველზე 1939 წლის 17 სექტემბერს საბჭოთა კავშირის ჯარების მიერ მიტაცებულ აღმოსავლეთ პოლონეთში დაიწყეს ემიგრანტების ხოცვა. მსგავსი რამ ხდებოდა არა მარტო პოლონეთში, არამედ ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და ბესარაბიაში.

კავკასიური ემიგრაციის მნიშვნელოვანმა ნაწილმა პოლონელებისადმი სოლიდარობის ნიშნად უარი თქვა გერმანელებთან თანამშრომლობაზე. ზოგიერთებმა კიდევ უფრო აქტიურად გამოხატეს ეს სოლიდარობა. კავკასიური ემიგრაციის წარმომადგენლები, განსაკუთრებით ქართველები, იბრძოდნენ პოლონეთის იატაკქვეშეთში, „არმია კრაიოვას“ რიგებში – მათ შორის პოდპოლკოვნიკი ვალერიათ თევზაძე, მაიორი არტემი არონიშიძე, მაიორი ლადო ხუნდაძე და სხვები. 1942 წლის დეკემბერში ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში აღესრულა არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე, ქართული კოლონიის სულიერი მოძღვარი პოლონეთში, 1933 წლიდან ვარშავის უნივერსიტეტის პატროლოგიის კათედრის ხელმძღვანელი. სულ სხვა ბედი ეწიათ პოლონეთის არმიის ქართველ საკონტრაქტო ოფიცრებს, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომი გამოიარეს. პოლონელი გენერლის ვლადისლავ ანდერსის მეორე კორპუსში იბრძოდა დაახლოებით ოცდაათი ქართველი ოფიცერი. ალიანტების მიერ ოკუპირებულ გერმანიის ტერიტორიაზე აღმოჩნდა დაახლოებით ათი ქართველი ოფიცერი. დაახლოებით თხუთმეტი ოფიცერი დარჩა პოლონეთის ე.წ. ლუბელსკის ტერიტორიაზე, რაც ნიშნავდა ციხეს ან სიკვდილით დასჯას. გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე იხსენებს, რომ 1944 წელს, საბჭოთა ჯარის ხელმეორედ შესვლისას პოლონეთში, ყველა ქართველი სამხედრო ოფიცერი, რომელიც ტყვედ ჩაუვარდა რუსებს, დახვრიტეს. პოლონეთის მეორე რესპუბლიკის დროს ქართველები მიეკუთვნებოდნენ იმ ეთნიკურ ჯგუფს, რომლებიც უმეტესად სტატისტიკაში ცალკე არ იყვნენ მოხსენიებული. ქართული ემიგრაცია წარმოადგენდა მცირე ჯგუფს, მაგრამ მათმა ძალიან აქტიურმა სწრაფვამ დამოუკიდებლო-

ბის მოპოვებისაკენ, განაპირობა მათი პრივილიგებული პოზიცია, „რომელიც არც რიცხობრივად და არც ეკონომიკური როლით არ გამოიხატება.“ ამ პოზიციას უფრო ემოციური მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა და ისტორიული ბედის მსგავსება ედო საფუძვლად. ომის დაწყებამდე, 1939 წლის აგვისტოში, „ვარშავის კურიერის“ ჟურნალისტიმა ინტერვიუ ჩამოართვა ქართული კომიტეტის მდივანს თავად ნიკოლოზ ბაგრატიონს, რომლისგანაც შეიტყო, რომ ქართული ემიგრაცია ვარშავაში დახლოებით „ას ადამიანს ითვლიდა [...] ზოგიერთი მათგანი [...] სამხედრო, სახელმწიფო მოხელე, მეწარმე, ახალგაზრდობას შედგენდა.“ ცოტა მოგვიანებით ბაგრატიონმა დაამატა: „ქართული ემიგრაცია პოლონეთში უფრო კარგად იყო მიღებული, ვიდრე სხვა ქვეყნებში. აქ ბევრმა მათგანმა დაიმსახურა პოლონელების ყურადღება, რომლებიც გაგებით ეკიდებოდნენ ქართველებს თავიანთი ტრაგიკული ბედის გამო. ვარშავაში მცხოვრები ქართველები ქმნიან მჭიდრო ჯგუფს. ჩვენი ახალგაზრდობა, რომელთა უმრავლესობა ემიგრაციაში დაიბადა, აღზრდილია პატრიოტული სულისკვეთებით. თითოეული ქართველი ახლგაზრდა თანაბრად ფლობს პოლონურ და ქართულ ენებს. აგრეთვე ძალიან კარგად იცნობენ შორეული სამშობლოს ისტორიასა და ლიტერატურას.“

1918-1939 წლებში პოლონეთის არმიაში მომსახურე ქართველი ოფიცრები და გენერლები: ალექსანდრე ზაქარიაძე, ზაქარია ბაქრაძე, ალექსანდრე ჩხეიძე, ივანე ყაზბეგი, ალექსანდრე კონიაშვილი, კირილე ქუთათელაძე. პოლკოვნიკები, მაიორები, კაპიტნები, პორუჩნიკები: ვახტანგ აბაშიძე, სიმონ აბაშიძე, პროკოპი აბულაძე, ნიკოლოზ აღნიაშვილი, ალექსანდრე ალავიძე, არტემი არონიშიძე, სიმონ ბახუტაშვილი, ალექსანდრე ბაგრატიონი, ივანე ბაქრაძე, საველი ბალახვანელი, გრიგორლ ოკუჯავა, ზაქარია ცერცვაძე, ვალერი ხელაძე, გედეონ ხუნდაძე, ვლადიმირ ციბაძე, თედორე წითლანაძე, დავით ჩხეიძე, გიორგი ჩხეიძე, სევერიან ჭყონია, მიხეილ დადიანი, გიორგი ჯავახიშვილი, გრიგოლ იაშვილი, იულიანე კაკაბაძე, ივანე ქავთარაძე, ირაკლი ყაზბეგი, ირაკლი კიკნაძე, ალექსანდრე ყიფიანი, დავით ყიფიანი, მიხეილ ყიფიანი, დავით კლიმიაშვილი, სიმონ კობიაშვილი, დავით ქუთათელაძე, კირილ ქუთათელაძე, მიხეილ კვალიაშვილი, კონსტანტინე კიკვიძე, დავით ლალიძე, დიმიტრი ლალიძე, ვლადიმერ ლალიძე, ილია ლობჯანიძე, ვიქტორ (ვახტანგ) ლომიძე, ლადო მახარაძე, გიორგი მამალაძე, ნიკოლოზ მათიკაშვილი, პლატონ მიქელაძე, მიხეილ ნიკოლაიშვილი, გიორგი მრელაშვილი, ფარნაოზ ნაცვლიშვილი, ივანე ნანუაშვილი, გიორგი მავლენიშვილი, შალვა ფურცელაძე, გიორგი ტატიშვილი, მიხეილ (ვასილ) რუსიაშვილი, ვალერიან სიდა-

მონ-ერისთავი, მელიქ სომხიანიცი, ვლადიმირ სიამაშვილი, დიმიტრი შალიკაშვილი, არკადი სხირტლაძე, ალექსანდრე ტაბიძე, ბრონისლავ ტაბიძე, პლატონ თაყაიშვილი, კონსტანტინე ტერიაშვილი, ვალერიან თევზაძე-კრჭიჭანოვსკი, გიორგი თუმანიშვილი, გიორგი ტურაშვილი, ბორის თინიკაშვილი, ვიტალი (თალიკო) უგრენელიძე-უგორსკი, ალექსანდრე ვაჩნაძე, დავით ვაჩნაძე, ნიკოლოზ ვაჩნაძე, იოსებ ზა-უტაშვილი.

პოლონეთში ქართული ემიგრაციის შესახებ მოგვითხრობს ვარშავის უნივერსიტეტში 2015 წელს გამოცემული წიგნი “Pod skrzydłami Rzeczypospolitej. Emigracja gruzińska w Polsce 1921-1939”, რომელმაც თავისი უნიკალური ფოტომასალით ისტორიკოსთა და მკვლევართა დიდი ყურადღება მიიქცია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელს ვარშავის უნივერსიტეტში წიგნი ინგლისურ და ქართულ ენებზე გამოიცა.



*არქიმანდრიტი გრიგოლ ჯვრადე.
ფოტო გადაღებულია პარიზში, 1931 წელს.
ვარშავის მართლმადიდებლური მიტროპოლიის არქივი*



*ქართული ემიგრაცია ვარშავაში. XX საუკუნის 20-იანი წლები.
სურათზე დგანან: პორუჩიკი გ. მამალაძე, პოლკოვნიკი ა. ბაგრატიონი, ივ. ქავთარაძე,
პოლკოვნიკი ვ. კიკვიძე, კ. იმნაძე, მაიორი ველი ბექ ედიგარი, გენერალი
ა. ზაქარიაძე, ა. გოძიაშვილი, როტმისტრი დ. შალიკაშვილი, ი. კურდვანოვსკა,
ი. სალაყაია, ვ. ავალოვი, პორუჩიკი ვ. თევზაძე, პორუჩიკი მ. დადიანი.
ფოტო ირაკლი გოძიაშვილის საოჯახო ალბომიდან*




ქართული ემიგრაციის წარმომადგენლები ვარშავაში.

სურათზე დგანან: მეოთხე რიგში, მარცხნიდან პირველი: პოდპოლკოვნიკი ვალერიან თევზაძე, ნიკოლოზ ვაჩნაძე, ვანო ქავთარაძე, ალექსანდრე ბაგრატიონი.

მესამე რიგში, მარცხნიდან პირველი: მაიორი ველი ბექ იედიგარი,

ცენტრში: იოსებ სალაყაია, მარჯვნიდან პირველი: პავლე თუმანიშვილი,


პირველ რიგში: როტმისტრი სავლე ბალახვანელი. ფოტო ავტორის კოლექციიდან



ქართული ემიგრაცია კრაკოვში. პირველ რიგში მარცხნიდან პირველი დგას: კაპიტანი მიხეილ რუსიაშვილი. მარჯვნიდან მეხუთე: როტმისტრი დიმიტრი შლიკაშვილი. შუაში: კონრად იმნაძე. კიბის საფეხურზე დგას: პოდპოლკოვნიკი ვალერიან თევზაძე, 1935 წელი. ფოტო გიორგი მამალაძის ალბომიდან




იან ივანე ქავთარაძე მეუღლეთან ჰალინა ქავთარაძე-ვორობიევთან ერთად, XX საუკუნის 30-იანი წლები. ქავთარაძე, ივანე (1897-1944), პოლონეთის არმიის ოფიცერი. ვარშავის აღმოსავლეთის ინსტიტუტის თანამშრომელი, ისტორიკოსი. 1929 წელს აღმოსავლეთის ინსტიტუტმა პირველად პოლონურ ენაზე გამოსცა ივანე ქავთარაძის წიგნი „საქართველო – ისტორიულ ჭრილში“ მარცელი ჰანდელსმანის წინასიტყვაობით. ვარშავის აჯანყების დროს 1944 წლის 2 აგვისტოს მეუღლესთან ერთად დახვრიტეს. ფოტო ავტორის კოლექციიდან



წიგნის გარეკანი: დავით ყოლბაია, რეჩპოსპოლიტას ფრთებქვეშ ქართული ემიგრაცია პოლონეთში 1921-1939. ვარშავის უნივერსიტეტი 2015. სურათზე: ქაქუცა ჩოლოყაშვილი პოლონეთის არმიის ქართველ ოფიცრებთან ერთად. მარცხნიდან პირველი: პორუჩიკი ვალერიან სიღამონ-ერისთავი. მარჯვნიდან პირველი: კაპიტანი დავით მაჭავარიანი. შუაში ზის: გენერალი ზაქარია ბაქრაძე. ფოტო გადაღებულია ბიბლიური „წარღვნის“ შადრევანთან. ბიდგოშჩი, 1926 წელი. ფოტო გიორგი მამალაძის ალბომიდან 7. წიგნის გარეკანი: დავით ყოლბაია, რეჩპოსპოლიტას ფრთებქვეშ ქართული ემიგრაცია პოლონეთში 1921-1939. ვარშავის უნივერსიტეტი 2015





წიგნის განაშალი: დავით ყოლბაია, რეჩპოსპოლიტას ფრთებქვეშ ქართული ემიგრაცია პოლონეთში 1921-1939. ვარშავის უნივერსიტეტი 2015